ამიერ-კავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია.

15 თებერვალი 1918 წ.

ფასი 50 კაპ.

პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალი კვალი

ყოველ-კვირეული სამეცნიერო საპოლიტ. და სალიტერ. ჟურნალი.

№ 5 ორგანო ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებისა. № 5

შინაარსი: 1) ბალშევიკების ზავი.—ვ. ნიკურაძე. 2) პროლეტარიატის ისტორიული მისია.—მ. ხუნდაძე. 3) მოწოდება (ლექსი).—გენო. 4) გლეხი და პროლეტარი.—ა.—ი. 5) ჩვენი სალამი (ლექსი)—ახალგ. მუშა ვ მაისურაძე. 6) თანამედროვე კაპიტ. განვითარების ფორმები და სოციალიზმი.—გ. ნინოშვილი. 7) კოოპერაცია და ქართველი სოც.-ფედერალისტები.—ს. მიხელიძე. 8) „ახალ კვალს".—ს. პართენაშვილი. 9) ამ.-კავკ. ახალგ. მარქსისტთა ორგან. კონფერენცია (ანგარიშები). 10) ახალგაზრდა მარქსისტთა შორის (კორესპ.), 11) შემოწირულება და სხვა.

4 906

აკ. ჩხენკელი.

ევ. გეგეჭკორი.

ბიბლიოთეკა

ბალშევიკების ზავი

ბალშევიკებს თავიდანვე არ მოსწონდათ დროებით მთავრობის საზავო პოლიტიკა. მათ იმპერიალისტებათ, ომის მომხრეებით მონათლეს ისინი, ვინც თავდაცვის თვალსაზრისზე იდგა და საკუთარი ფიზიკური ძალა საჭიროთ და აუცილებლათ მიაჩნდა, სანამ გერმანიაში ბატონობდნენ სხვისი მიწა-წყლის შემოერთების სურვილით გატაცებული ჰოგენცოლერნები. 14 მარტის ყველა ხალხისადმი მიმართვაში აშკარათ და გარკვევით იყო ნათქვამი, ჩვენ მზათ ვართ ჩამოვაგდოთ ზავი უანექსიო, უკონტრიბუციო, ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე დამყარებული; მაგრამ სანამ ასეთ ზავზე თანხმობას არ აღიარებენ მებრძოლ სახელმწიფოთა იმპერიალისტები, ჩვენ განვაგრძობთ თავდაცვას, არც ერთი ჯარისკაცი იარაღს არ დაყრის და ფრონტს არ მიატოვებსო.

ჩვენ ბევრში არ ვიზიარებთ დროებით მთავრობის პოლიტიკას, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ზავის საკითხში დროებით მთავრობის პოზიცია, რომელიც ხსენებულ მიმართვაში იყო გამოხატული, სწორი აღმოჩნდა, ვინაიდან მას ცივი გონებით ნაკარნახევი, სინამდვილეზე აგებული შეხედულება ედვა საფუძვლათ.

ბალშევიკებმა კი თავის საგარეო პოლიტიკას სურვილი დაუდვეს სარჩულათ. ომი იმპერიალისტურია, მშრომელი მასისათვის მას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს გარდა საუკუნოების განმავლობაში შექმნილი კულტურისა და ხალხთა ფიზიკურ არსებობის განადგურებისა. ცხადია ომი უნდა მოისპოს და უნდა მოისპოს რაც შეიძლება დაჩქარებითო — ამბობდენ ბალშევიკები. დემოკრატიულ პრინციპებზე აგებულ ზავის „დაუყონებლივ ჩამოგდების საჭიროებას ყველა გრძნობდა, ყველას სურდა. მაგრამ მარტო სურვილი ვერ გადასჭრიდა ომისა და ზავის საკითხს. ეს ყველა საღათ მოაზროვნე პოლიტიკოსისათვის, განსაკუთრებით მეცნიერული სოციალიზმის მიმდევართათვის აშკარა უნდა ყოფილიყო.

ბალშევიკებს ავიწყდებოდათ, რომ საერთაშორისო ომის დათავება მარტო რევოლიუციონურ რუსეთს არ შეეძლო; საჭირო იყო სხვა მებრძოლ სახელმწიფოებშიაც შეცვლილიყო მდგომარეობა, იქაც მუშათა კლასს აეღო საკუთარ ხელში ომისა და ზავის საკითხის გადაჭრის საქმე.

მაგრამ ბალშევიკებს ალბათ უფრო აინტერესებდა დროებით მთავრობის დამხობა და თავის ბატონობის განმტკიცება, ისინი ანგარიშს არ უწევდენ რეალურ ძალთა განწყობილებას და ხალხს აჯერებდენ, თუ ჩვენ ჩავიგდებთ ძალა-უფლებას ხელში, დაუყონებლივ ჩამოვაგდებთ ზავსო. და ეს საუკეთესო საგიტაციო ლოზუნგი იყო ომიანობით განაწამებ, მოქანცულ მასსის მისამხრობათ. ბალშევიკებმაც ისარგებლეს გარემოებით და უკმაყოფილო, ზავის მოსურვე ჯარისკაცთა დახმარებით მიზანს მიაღწიეს, სახელმწიფოებრივი მმართველობის სადავე ხელში ჩაიგდეს. მიყვეს ხელი დეკრეტების გამოცემას და პირველი მათგანი იყო დეკრეტი ზავის შესახებ.

ახლა ბალშევიკების საზოგო მოღვაწეობას 3 თვის ისტორია აქვს. ამ დროს განმავლობაში ბალშევიკებმა არა ერთხელ აუწყეს ქვეყანას გერმანიის იმპერიალისტები გავტეხეთ, საპატიო ზავზე დავითანხმეთო. ადგილობრივი ბალშევიკები კიდევ შორს წავიდნენ. ზავის შესახებ დეკრეტის გამოცემის გამო ფურცლები გაავრცელეს თბილისში, საყოველთაო საპატიო ზავი უკვე ჩამოვარდაო და მუშებს სადღეასწაულოთ მოუწოდებდენ.

ბალშევიკები არამცთუ სამარცხვინო, სეპარატიული ზავის წინააღმდეგნიც კი იყვნენ. თუ გერმანიამ წამოგვიყენა სამარცხვინო ზავის პირობები, ჩვენ დამფუძნებელ კრებას წარუდგენთ მათ განსახილველათ დეე, დამფუძნებელ კრებამ მიიღოს სამარცხვინო ზავი, ჩვენ ზურგს შევაქცევთ მას და რევოლიუციონური რუსეთი იბრძოლებს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, რათა დაიცვას თავის ღირსებაო — ამაყათ განაცხადა ტროცკიმ. მაგრამ როცა ტროცკიმ ამ განცხადებას აკეთებდა, მის მიერ მთავარსარდლად დანიშნული კრილენკო ალბათ თავის აწ ისტორიულ სამარცხვინო მანიფესტის პროექტს იმუშავებდა.

ბალშევიკები ფიქრობდენ თავის მოქმედებით ევროპაში სოციალისტური რევოლიუციის გამოწვევას და ამ გზით საყოველთაო ზავის ჩამოგდებას და სოციალიზმის განხორციელებას; მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა მესამე ყრილობაზე კი ტროცკიმ უსირცხვილოთ განაცხადა, რუსეთის რევოლიუციას არ შეუძლია იხსნას მთელი კაცობრიობა და ჩვენ შეიძლება მოგვიხდეს კიდეც სეპარატიული ზავის ჩამოგდებაო.

ასე იცვლებოდა ბალშევიკების შეხედულება

ზავის სიკითხში, სინამდვილე, რეალურ ძალთა განწყობილება ბალშევიკების კეთილ სურვილებზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა. ამან გამოიწვია ბალშევიკების უმაგალითო ქანაობა ზავის საკითხში, მათი თანდათანობით უკან დახევა და ბოლოს სამარცხვინოთ დამარცხება, რაც გამოიხატა გერმანიის იმპერიალისტების წინ წამოჩოქებაში. კრილენკოს უკანასკნელი დეპეშა იარაღის დაყრისა და ჯარის დემობილიზაციის შესახებ ამის საუკეთესო დამამტკიცებელია. ბალშევიკებმა, რომლებიც ფიქრობდენ ოფლიო კაპიტალიზმის დამხობას, სამარცხვინოთ ოქესლეს ბრძოლის ველიდან და რუსეთის რესპუბლიკის ბედი გერმანელ იმპერიალისტებს ჩაუგეს ხელში. ეს რაღაც სამარცხვინო ზავზე უარეა, ეს ისეთი რამ არის, რომლის მსგავსი ისტორიას არ ახსოვს.

გერმანელ იმპერიალისტებმა ისარგებლეს ხელსაყრელ შემთხვევით და მთელ ფრონტზე შემოტევა დაიწყეს. მართალია ამ შემოტევას ხსნიან კეთილ სურვილებით, ჩვენ გვინდა ვიხსნათ რუსეთის ხალხი ბალშევიკების მოქმედების დამღუპველ შედეგებისაგან და დავამყაროთ წესრიგი. ჩვენ კარგათ ვიცით თუ როგორ „წესრიგს“ დაამყარებს რუსეთში ვილჰელმის ჯარი... უკანასკნელ ცნობების თანახმათ, ლენინის მთავრობას გადაუწყვეტია სამღვრო ომი გამოუცხადოს გერმანიას და მოახდინოს ეს მიზნით იმ ჯარის მობილიზაცია, რომელიც კრილენკოს მანიფესტით გუშინ სახლში გაუშვა.

როგორც არ უნდა იყვეს, ერთი აშკარაა. ბალშევიკების პოლიტიკით განადგურების კარამდე მიყვანილი რუსეთი ვერ შესძლებს დღეს ომის წარმოებას და იგი იძულებული იქნება დღეს არა, ხვალ მაინც მიიღოს გერმანიის იმპერიალისტების მიერ ნაკარნახევი ზავის პირობები. მით უმეტეს აუცილებელი იქნება ეს, თუ ბალშევიკების ბატონობას დროზე არ მოეღო ბოლო.

ასეთია ბალშევიკების „საპატიო“ დაუყოვნებლივი ზავი, რომელსაც ისინი დაჰპირდენ ხალხს, ასეთ მდგომარეობაში ჩააგდო ბალშევიკების პოლიტიკამ რევოლიუციონური რუსეთი.

ვ. ნიკურაძე

პროლეტარიატის ისტორიული მისია.

უტოპიზმი.—მარქსიზმი.

თავის შინაარსით მარქსიზმი—მეცნიერული სოციალისტური სისტემა, რომელიც საფუძვლათ უდევს თანამედროვე პროლეტარიატის მსოფლ-მხედველობას, უწინარეს ყოვლისა კაპიტალიზმის პირმშო შვილია.

კლასთა შორის უაღრესათ განვითარებული ანტაგონიზმი, ერთი მხრით, და ანარქია წარმოებაში (პერიოდული კრიზისები) მეორე მხრით—აი ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდა მეცნიერული ოეორია, რომელიც ამტკიცებს, რომ კაპიტალისაგან შრომის განთავისუფლება არ არის დამოკიდებული კერძო პირების კეთილ სურვილებზე, არამედ ისტორიულ პროცესის აუცილებელი შედეგია.

თავისი თეორიული ფორმით კი—მეცნიერული სოციალიზმი—მე-XVIII და მე-XIX საუკუნეთა ფილოსოფოსების მიერ წამოყენებულ პრინციპების ლოგიკურ დაბოლოვებას, მეცნიერულ სინთეზს წარმოადგენს.

მართლაც, ჩვენ თუ გავითვალისწინებთ საფრანგეთის მატერიალისტების (გელვეციუსი, გოლბახი) მოძღვრებას, მორელის და მაშლის კომუნისტურ თეორიებს, თუ ყურადღებით გავეცნობით უტოპიურ სოციალიზმის სამ უდიდეს მოციქულთა მსოფლ-მხედველობას (სენ-სიმონი, ფურიე, ოუენი), თუ დაუკვირდებით გერმანულ იდეალისტურ ფილოსოფიას, უმთავრესათ ჰეგელის, თუ შევისწავლით ადამ სმიტის, რიკარდოს და როდბერტუსიაგეცოვის პოლიტიკურ ეკონომიას,—ნათლათ დავინახავთ და დავრწმუნდებით, რომ მარქს-ენგელსის სოციოლოგიური და ეკონომიური მოძღვრება ამ ორ გენიალურ ადამიანთა გამოგონება კი არ არის, არამედ დიდი ხნის განმავლობაში განვითარებული და შემუშავებული იდეოლოგიაა, რომელიც მათ მიერ ერთ მთლიან მეცნიერულ მსოფლ-მხედველობათ ჩამოყალიბებულ იქნა.

გადავავლოთ თვალი ამ იდეოლოგიურ ევოლიუციის ზოგიერთ მხარეებს. შევჩერდეთ უმთავრესათ იმ იდეებზე, რომელნიც მეტათ საგულისხმიერო არიან ჩვენთვის.

ავიღოთ ჯერ სენ-სიმონის ნაწერები.*) იქ ჩვენ უკვე შეეხვდებით ასეთ დებულებას, რომ „ყოველი ადამიანი უნდა მუშაობდეს“, იქვე წავიკითხავთ, რომ საფრანგეთში ტერორის ბატონობა—იყო გაღატაკებულ მასის ბატონობა. „შეხედეთ—მიმართავს ის ამ მასას,—რა მოხდა საფრანგეთში, როდესაც ბატონობდენ თქვენი ძმები: მათ შიმშილი შექმნეს“.

ფრ. ენგელსის თქმის არ იყოს, მართლაც, გენიალური ნიჭი და დაკვირვება იყო საჭირო, რომ უკვე 1802 წელს ადამიანს გაეგო, რომ საფრანგეთის რევოლიუცია—

*) „Женевскія письма“—Сенъ-Симонъ.

იყო კლასიური ბრძოლა არა მარტო თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიისა, არამედ ბურჟუაზიის და ღარიბ კლასებს შორისაც.

1916 წელს სენ-სიმონი ამტკიცებდა, პოლიტიკა—მეცნიერებაა წარმოების შესახებ და მომავალში სავსებით შეუერთდება ეკონომიასო. აქ ჯერ კიდევ ნათლათ არ გამოიხატება ის აზრი, რომ პოლიტიკური დაწესებულება (institution) ეკონომიურ მდგომარეობის ნაყოფია. სხვა ადგილას ს.-სიმონი უფრო გარკვეულათ გამოსთქვამს ასეთ შეხედულებას. მისი ფიქრით ადამიანებზე პოლიტიკურ ბატონობას უნდა მოყვეს ბატონობა „საგნებზე“, წარმოების პროცესზე ე. ი ბოლოს და ბოლოს სახელმწიფო უნდა გაუქმდეს.

აქ აშკარათ არის გამოთქმული ის იდეა, რომელიც შემდეგ მარქსიზმში ჰპოვებს თავის მეცნიერულ გამოხატულებას.

მეორე გენიალურ უტოპისტის, ფურიეს ღირსებას შეადგენს ის, რომ მან თავის ნაწერებში კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ბურჟუაზიული წესწყობილება, გამოაშკარავა მისი ღრმა წინააღმდეგობანი, მისი ზნეობრივი სიღატაკე და მასთან ერთათ გადაგვიშალა მომავალ ცხოვრების პერსპექტივა, საყოველთაო ბედნიერების სამეფო, სადაც ყველა იცხოვრებს თავისუფლათ, შეუვიწროვებლათ.

ფურიეს ალბათ ჰეგელსავით შესანიშნავათ ჰქონდა გათვალისწინებული დიალექტიკა, რომელმაც მას საშვალება მისცა მიმხვდარიყო, რომ „თანამედროვე ცივილიზაციის ხანაში—სიღარიბე თვით სიმდიდრით არის გამოწვეული“. ჩვენ ვხედავთ იმ თეორიის ჩანასახს, რომელიც მარქსმა თავის „კაპიტალში“ მეცნიერულათ გამოარკვია და დაასაბუთა.

რობერტ ოუენი, მესამე შესანიშნავი სოციალისტი—იყო ცნობილი ინგლისელი ფაბრიკანტი; იგი ინგლისში სცხოვრობდა, სადაც უკვე საკმაოთ იყო განვითარებული მრეწველობა და წარმოება. ოუენი, როგორც მეტათ დაკვირვებული ადამიანი, ადვილათ ხედავდა კაპიტალისტურ წყობილების უკუღმართობას, ხედავდა მუშების უმწეო მდგომარეობას და მთელი თავის ძალღონით სცდილობდა ეს უკუღმართობა და უსამართლობა მოესპო. ოუენის ფაბრიკებში მუშები შედარებით გაცილებით კარგ მდგომარეობაში იმყოფებოდენ, მუშაობდენ ნაკლებ დროს და იღებდენ ზედმეტ ხელფასს, ვიდრე სხვაგან.

ოუენს ეს არ აკმაყოფილებდა. „ეს ხალხი—ჩემი ყმებია“—ამბობდა ის.

რა თქმა უნდა, მუშების მდგომარეობის შედარებითი გაუმჯობესება არ უზრუნველ ყოფდასავსებით მათ ზნეობრივ და გონებრივ განვითარებას.

ოუენის აზრით, მშრომელთა განთავისუფლების აუცილებელი პირობა კერძო საკუთრების მოსპობა იყო. ამიტომ ის შეუდგა სამოწამომქმედო კომუნისტურ კოლონიების მოწყობას. მაგრამ მისი კომუნისტური იდეები მან ცხოვრებაში ვერ განახორციელა.

რა იყო ამის მიზეზი? რაში მდგომარეობდა სენ-სიმონის, ფურიეს და ოუენის უტოპიზმი?

მიუხედავათ მრავალ საგულისხმო აზრებისა, რომელიც გამოითქვა მათ მოძღვრებაში, მათი საერთო მსოფლმხედველობა, მათი პრინციპიალური დებულებანი, საიდანაც ისინი გამოდიოდნენ, ეწინააღმდეგებოდენ როგორც რეალურ სინამდვილეს, ისე მეცნიერებას. სოციალიზმი მათ წარმოდგენილი ჰქონდათ, როგორც აბსოლიუტურ, (ზოგად, განყენებულ) პრინციპის, გონებისა და სამართლიანობის გამოხატულება. საჭირო იყო მისი გამოაშკარავება, რომ მის საშვალებით შემდეგ მთელი კაცობრიობა მიგემხრო; და რადგანაც აბსოლიუტი ყოველთვის დამოუკიდებელია დროსა და ადგილისაგან, კაცობრიობის ისტორიულ განვითარებისაგან, ამიტომ უბრალო შემთხვევის საქმე იქნება, როდის ან სად მიაგნებდა ადამიანი ამ პრინციპს. ამასთან უნდა ვსთქვა, რომ ყოველგვარი აბსოლიუტური იდეა—თვითეულ ფილოსოფოსს თავისებურათ ესმის. ეს საერთო პირობებზეა დამოკიდებული, როგორიც არის მაგალითათ: ადამიანის აზროვნობის ფორმა, ერუდიცია, სუბიექტიური გემოვნება, და სხვ. და სხვ.

ამიტომ როდესაც ერთი მეორეს შეეჯახება ორი სხვადასხვანაირათ წარმოდგენილი აბსოლიუტური იდეა, შერიგება მხოლოდ კომპრომისით შეიძლება. კომპრომისი კი თეორიაში ჰქმნის საშვალო, ეკლექტიურ მოძღვრებას, რომელიც სხვა და სხვა წინააღმდეგობით, ულოლიკობით და შეცდომებით არის სავსე.

აი სწორეთ ჩვენ მიერ გაცნობილ ფილოსოფოსთა სოციალიზმი—განყენებული თეორიული სისტემაა, რომელიც აშენებულია აბსოლიუტურ პრინციპებზე და განშორებულია რეალურ სინამდვილს.

სოციალიზმი კი რომ მეცნიერებათ იქცეს, უნდა ცხოვრების რეალურ ნიადაგს დაეყრდნოს.

„სანამ პროლეტარიატი იმდენათ არ განვითარებულა, რომ ერთ კლასათ ჩამოყალიბდეს. სანამ ბრძოლას პროლეტარიატსა და ბურჟუაზიის შორის არ მისცემია პოლიტიკური ხასიათი, სანამ თვით კაპიტალისტურ წყობილებაში არ განვითარებულან საწარმოვო ძალები, რომელნიც პროლეტარიატის ემანსიპაციის და ახალი საზოგადოების დაარსების მატერიალურ პირობებს შეადგენენ—მანამდე პროლეტარიატის თეორეთიკოსები მხოლოდ უტოპისტები არიან, რომელნიც თავიანთ თავიდან იგონებენ სხვა და სხვა სისტემებს.

მაგრამ ისტორიის მსვლელობაში პროლეტარიატის ბრძოლა უფრო და უფრო ნათელ ხასიათს ღებულობს, ეს თეორეთიკოსები აღარ საჭიროებენ თავიანთ თავში სძებნონ მეცნიერება; მათთვის საჭიროა შეიგნონ ის, რასაც ისინი თავიანთი თვალებით ხედავენ. სანამ ისინი ეძებენ მეცნიერებას და ქმნიან სისტემებს, სანამ ისინი ბრძოლის დასაწყისში დგანან—მანამდე სიღატაკეში მხოლოდ სიღატაკეს ხედავენ, და ვერ ამჩნევენ მასში რევოლიუციონურ მხარეს, რომელიც ძირიანათ დაანგრევს ძველ საზოგადოებას.

ამიერიდან მეცნიერება, როგორც ისტორიულ მოძრაობის შეგნებული ნაყოფი, აღარ არის დოკტრინალური, ის „რევოლიუციონური“ შეიქნა“. *)

აი რას ამბობს მარქსი უტოპიურ სისტემის და მეცნიერების შესახებ. მართლაც, უტოპისტები სრულიად არ უწევდნენ ანმარიშს საზოგადოებრივ განვითარების კანონებს, მათ ეს კანონები არც შეუსწავლიათ; მათი რეფორმატორული გეგმა არ შეესაბამებოდა კაპიტალისტურ საზოგადოების განვითარებას. საკმარისი იყო, როგორც ისინი ფიქრობდენ, სოციალურ გეგმის შედგენა, შემდეგ კი თანდათან პროპაგანდით და მაგალითებით ეს გეგმა განხორციელდებოდა. უტოპისტები ხედავდნენ კლასიურ ბრძოლას, მაგრამ მათ მაინც შესაძლებლათ მიაჩნდათ ყველა კლასების სოლიდარული მუშაობა ბურჟუაზიულ საზოგადოების გარდასაქმნელათ.

როგორც მე-XVIII საუკუნის ფილოსოფოსებს, ისე უტოპისტებს უნდოდათ არა რომელიმე კლასი გაენთავისუფლებიათ, არამედ მთელი კაცობრიობა.

ს.-სიმონისტები, ოუენისტები და ფურიერისტები არ იყვნენ პროლეტარიატის მოძრაობის გამომხატველნი, ეს სხვათა შორის იქიდანაც სჩანს, რომ ისინი სტოვებდნენ პოლიტიკურ ასპარეზს სწორეთ მაშინ, როდესაც პროლეტარიატი გამოდიოდა, როგორც აქტიური საზოგადოებრივი ძალა. აი ამიტომ იყო, რომ მარქსმა და ენგელსმა 1847 წელს პროლეტარიატის პარტიას უწოდეს კომუნისტური და არა სოციალისტური პარტია.

მარქსისტული მოძღვრება სრულიათ სხვა საფუძველზე არის აშენებული, ვიდრე უტოპიური სოციალიზმი.

მარქს-ენგელსის შეხედულებით, პროლეტარიატი თავის კლასიურ ბრძოლაში ბურჟუაზიის წინააღმდეგ განყენებულ მორალურ პრინციპებს კი არ ეყრდნობა, არამედ იმ მატერიალურ საშვალებებს, რომელნიც კაპიტალისტურ საზოგადოებამ და თანამედროვე წარმოებამ წარმოშვა.

მატერიალისტურ მეთოდით აღჭურვილნი,—მარქსისტები კაპიტალისტურ წესწყობილებას უყურებენ, როგორც საზოგადოების ერთ-ერთ გარდამავალ ფორმას, რომელიც ახალ საწარმოვო ძალთა ზე-გავლენით თავის ადგილს უთმობს სოციალიზმს.

რაც დრო გადის, ეკონომიური და საზოგადოებრივი დიფერენციაცია თანდათან ღრმავდება. ერთი მხრით თავს იყრიან კაპიტალისტები, საწარმოვო იარაღის პატრონნი, მეორეს მხრით სდგას უზარმაზარი მშრომელთა არმია, პროლეტარიატი, რომელიც კაპიტალისტურ ექსპლოატაციის მსხვერპლს წარმოადგენს.

ეს დიფერენციაცია, წვრილი წარმოების მოსპობა და მსხვილი კაპიტალის ცენტრალიზაცია, „კონცეტრაცია“—კაპიტალისტურ წარმოების შინაგან, იმანენტურ კანონების ძალით ხდება. **).

*) К. Марксъ. „Нищета философіи“.

**) К. Марксъ. „Капиталъ“. Т. I.

ანტაგონიზმი კლასთა შორის თავის მწვერვალს აღწევს. პროლეტარიატი ქმნის უძლეველ ორგანიზაციას, ჰკრეფს თავის იდეიურ და მატერიალურ ძალებს და იბრძვის ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ბურჟუაზია, კონკურენციის ვაკხანალიით გატაცებული, ვერ უმკლავდება ეკონომიურ სტიქიას, ვერ უმორჩილებს წარმოებას განსაზღვრულ გეგმას, წესრიგს.

ამის გამო წარმოიშვა ანარქია წარმოებაში, (პერიოდული კრიზისები) ყოველ 10 წლის განმავლობაში დაახლოვებით ჩვენ ასეთ სურათის მოწმეთ ვხდებით: ბაზარზე აუარებელი საქონელია გამოტანილი, ფასები საშინლათ ეცემა, წარმოება ჩერდება და აუარებელი მუშა უმწეოთ რჩება.

ეს მოვლენა ნათელჰყოფს—კაპიტალიზმის დანგრევის აუცილებლობას. კერძო საკუთრებას—კაპიტალიზმის დედა ბოძს, უკვე წინააღუდგება ახალი ძალა, რომელიც თვით მან წარმოშვა. ეს ძალა არი პროლეტარიატი, მუშათა მძლავრი ორგანიზაცია, რომლის **ისტორიულ მოწოდებას, მისიას, შეადგენს კიპიტალისტურ წესწყობილების დანგრევა, წარმოების განსაზოგადოებრივობა, კლასების მოსპობა და ამგვარათ მთელი კაცობრიობის განთავისუფლება.**

„როდესაც საწარმოვო იარაღები მთელი საზოგადოების ხელში გადავა, მაშინ მოისპობა საქონლის წარმოება და მასთან ამ საქონლის ბატონობა მწარმოებელზე. ანარქიის მაგიერათ წარმოებაში ადგილს დაიჭერს შეგნებული ორგანიზაცია, რომელიც განსაზღვრულ გეგმას ემორჩილება. აღარ იქნება ბრძოლა არსებობისათვის. ამით ადამიანი პირველათ და სამუდამოთ გამოდის ცხოველთა სამეფოდან, ცხოველურ პირობებს ნამდვილი ადამიანური პირობები სცვლის...

ეს კაცობრიობის ნახტომი არის აუცილებლობის ხამეფოდან—თავისუფლების სამეფოში.

ამ განმანთავისუფლებელ აქტის შესრულება შეადგენს—თანამედროვე პროლეტარიატის ისტორიულ მოწოდებას.

ამ აქტის ისტორიულ პირობების და მისი შინაარსის გამოკვლევა, პროლეტარიატისათვის მისი მოქმედების პირობებისა და ბუნების გაგებინება—აი მოვალეობა მეცნიერულ სოციალიზმისა, რომელიც პროლეტარიატის მოძრაობის თეორიულ გამოხატულებას წარმოადგენს“.*).

მუშათა მოძრაობა თანდათან უმრავლესობის მოძრაობათ ხდება. პროლეტარიატის საბოლოო მიზნები და იდეალები, უწინარეს ყოვლისა რასაკვირველია, მის კლასიურ იდეოლოგიას შეიცავს. მაგრამ ამასთანავე ეს იდეალები მთელი კაცობრიობის იდეალებია.

სოციალიზმი—კაცობრიობის თავისუფლება იქნება.

„მუშათა კლასის განთავისუფლების პირობა—ყოველგვარ კლასების მოსპობა არის, ისე, როგორც, მესამე

*) Фр. Энгельсъ. Анти-Дюрингъ.

წოდების, ბურჟუაზიის განთავისუფლების პირობას წოდებათა მოსპობა შეადგენდა". *)

მუშათა კლასი ძველ კლასიურ საზოგადოების ნაცვლათ შეჰქმნის ასოციაციას, რომელშიაც არ ექნება ადგილი არც კლასიურ დიფერენციაციას, არც სახელმწიფოს, როგორც ამ დიფერენციაციის, კლასთა ბრძოლის ოფიციალურ გამოხატულებას. მანამდე კი კლასთა შორის განწყობილება წარმოადგენს მუდმივ ბრძოლას, რომლის უაღრესი ფორმა რევოლიუცია არის.

სოციალიზმის დროს, საზოგადოებრივი პროგრესი, ევოლიუცია უარჰყოფს ამგვარ რევოლიუციას.

დღეს კი სოციალური მეცნიერება რევოლიუციისკენ მოგვიწოდებს.

ეს არის მისი უკანასკნელი სიტყვა.

„ბრძოლა ან სიკვდილი; სასტიკი ომი ან არყოფნა. ასე მწვავეთ არის დაყენებული კითხვა"!

მ. ხუნდაძე.

მოწოდება.

სევდამ სიხარულს მახვილი ჩაჰკრა:
თავისუფლება გინაცდელშია!
საბედისწერო საათმა დაჰკრა,—
ხმალი აიღეთ ყველამ ხელშია!
„სათაყვანებელ ომში ჩაბმული
კაცობრიობა მოითხოვს შველას"!
და მეც, საომრად ფარ-ხმალ ასხმული,
ბრძოლისაკენა გიწოდებთ ყველას!
დაე, ამხედრდეს ზღვა ცხოვრებისა,—
შურისძიებამ გაშალოს ფრთები!
სცვიოდეს მეხი მტერთა რბევისა,
ზე აღმართონ იმედის მთები!
გამხნევდით ძმებო! დიად ბრძოლაში
სამყაროს ჰფინეთ მედგარი ხმები!
საუკუნეთა ტრიალ-სრბოლაში
თუ გვიძლევია ჩვენ ხშირათ მტრები,
ეხლაცა დავძლევთ! მაშ, შორს, შორს [ძრწოლა!
ელვისაებრი შეისხით ფრთები!
წინ კვლავ მოგველის გმირული ბრძოლა,—
შეატრიალეთ ჰაერში ხმლები!.,

გენო.

---

*) Марксъ. Нищета философіи.

გლეხი და პროლეტარი.

გლეხისა და პროლეტარის სოციოლოგიურ ბუნების გამოკვლევა სოციალისტურ ლიტერატურის ერთ უმთავრეს საგანს შეადგენს. დიდი ხანია რაც მარქსისტებსა და სოც.-რევოლიუციონერების შორის ამის შესახებ კამათი სწარმოებს, მაგრამ ამ კამათს ჯერ ერთი დასკვნა არ გაჰკეთებია, იგი ჯერ კიდევ დაუსრულებელია. ამასთანავე თვით ევროპის მარქსისტებს შორის წამოჰყო ამ კითხვამ თავი; ასე რომ ამ საკათხის გაშუქებას ამ ჟამათ აქვს, როგორც თეორეტიული, მეცნიერული, ისე პრაქტიკული ინტერესი.

გლეხისა და პროლეტარის მდგომარეობის და ბუნების ანალიზი—ერთი უმთავრესი საკითხთაგანია, რომელიც ჰყოფს რუსეთში მომქმედ სოციალისტურ პარტიებს. ზოგს, როგორც მაგ. სოც.-რევ. გლეხის სოციოლოგიური ბუნება სოციალისტურათ მიაჩნია, ისე როგორც პროლეტარისა, და ამ ორ კათეგორიას ერთს კლასში ათავსებს: მათის აზრით „მშრომელი ხალხი"—რომელიც შეიცავს, როგორც მუშათა კლასს, ისე გლეხობას, ერთი მთლიანი ეკონომიური ჯგუფი—კლასი არის, გაერთიანებული, როგორც თავისი მახლობელ ინტერესებით, ისე საბოლოო მიზნებით. არც გლეხი, არც პროლეტარი არ არის უზრუნველყოფილი კაპიტალისტურ საზოგადოებაში, ორივე ღარიბია, ორივე იტანჯება, ორივე გაყვლეფილთა რაზმს ეკუთვნის; ამასთანავე არც ერთი მათგანი არ სარგებლობს დაქირავებული შრომით (სახეში ჰყავთ მშრომელი გლეხობა), ორივე პირადი ენერგიის დახარჯვით სწევენ თავის ცხოვრების ჭაპანს. პროლეტარსა და გლეხს შორის არ არის არავითარი ინტერესთა წინააღმდეგობა, ერთი მეორის კეთილდღეობაში არის დაინტერესებული: გლეხს, როგორც პროდუქტების გამყიდავს, აინტერესებს მუშისთვის ხელფასის აწევა, რადგან ამით მის საქონელს მუშტარი უჩნდება და პროლეტარს კი გლეხის მდგომარეობის გაუმჯობესობა,—ამით გლეხი გაპროლეტარებას გადარჩება და მუშას კონკურენციას აღარ გაუწევს.

აი მოკლეთ მთელი არგუმენტაცია სოც.-რევოლიუციონერებისა და მათი მიმდევრების ჩვენში სოც.-ფედერალისტებისა.

სულ სხვა არის მარქსიზმის აზრი ამ საგნის შესახებ.

საქმე იმაშია, რომ გლეხობა, როგორც ერთი მთელი, წარმოებაში ჩაბმული ჯგუფი, ფეოდალურ წყობილების საფუძველი არის. ამისთვის მას, იმის და მიხედვით თუ როგორ შრომას ეწეოდა ის, იმ თავიდანვე ახასიათებდა განსაკუთრებული, სპეციფიური თვისებები: ინდივიდუალური შრომა ჰქმნიდა მასში ვიწრო, ჩახშულ ფსიხოლოგიას, სიყვარულს კერძო საკუთრებისადმი და ნატურალური წარმოება კი მის მოქმედების ფარგალს საზღვრავდა ერთი პატარა სოფლით. სხვა და სხვა ეკონომიურ მიზეზების გამო ამ ძველ, ფეოდალურ წყობილების

დამრღვევი ელემენტები ქალაქში მოგროვდა და იქ განვითარდა. სოფელმა, როგორც ასეთმა, ვერ შესძლო თავისივე კერძო, შინაგანი განვითარებით გაეხსნა გზა ახალ ეკონომიურ წყობილებისათვის და თავისი წინააღმდეგობა ამით დაეძლია.

კაპიტალიზმი მძლავრათ შეიჭრა თვით სოფელშიაც. გლეხობა, როგორც მთლიანი მწარმოებელი ელემენტი, თანდათან დაირღვა. კაპიტალისტურმა დიფერენციაციამ, როგორც ჰიამ, ისე გახრწნა ეს მთლიანობა და გლეხთა მასაში ეკონომიური სხვადასხვაობა შეიტანა; ნაწილი მისი ქალაქის პროლეტარებათ გადაიქცა, ნაწილი ბურჟუაზიულ კლასს შეუერთდა; ეს რღვევის პროცესი მას შემდეგ გამუდმებით მოქმედობს გლეხობაში. გლეხობა აღარ არის თანამედროვე ცხოვრების დამახასიათებელი ელემენტი, ეს ელემენტი ქალაქის მრეწველობაში იმარხება; ბურჟუაზია და პროლეტარიატი — აი რა ახასიათებს თანამედროვე კაპიტალისტურ წესწყობილებას. სოფლის როლი თანამედროვე ცხოვრებაში ძლიერ მცირეა და რაც დრო გადის უფრო კლებულობს.

ცხადია ახალი ძალა, თვით კაპიტალისტურ წყობილების დამრღვევათ მოწოდებული, ქალაქში, მუშათა კლასში უნდა დაენახათ და არა იმ ინერტიულ გლეხთა მასაში, რომელიც თავს ვერც კი ართმევდა ცხოვრებას, არამც თუ ახალი წყობილების მებრძოლათ გამოსულიყო; გლეხს მისი ეკონომიური მდგომარეობა არავითარ სოციალისტურ პერსპექტივას არ უხატავდა გონებაში. ასე რომ გლეხის სოციალისტათ დასახვაზე ფიქრიც კი მაშინ სასაცილო იყო. პროლეტარის მდგომარეობა კი, რომელსაც საწარმოვო იარაღთა უქონლობა და კოლექტიური შრომა ახასიათებს, პირდაპირ უკარნახებდა მას ამ საზოგადოების სოციალისტურათ გარდაქმნის შესაძლებლობას; სოციალური დინამიკა კი, რომელიც განაგრძობდა თავის შეუბრალებელ რღვევა-შენებას, თანდათან აძლიერებდა პროლეტართა რაზმს და გამოურკვეველ გრძნობებს გონების ფორმებათ აყალიბებდა. ცხადია ამიტომ, თუ რისთვის დასახეს მარქსმა და ენგელსმა კაპიტალიზმის „მესაფლავეთ“ პროლეტარიატი, და გლეხობისა კი ამ მხრივ იმედი არა ჰქონიათ.

მაგრამ მიუხედავათ გლეხობის რღვევის და დიფერენციაციისა, მიუხედავათ კაპიტალიზმის ძლევა-მოსილ მსვლელობისა—გლეხობა არ გამქრალა; მისი ნაწილი შეგუა თითქოს კაპიტ. წყობილებას, თუ შეიძლება ასე ითქვას, ასე რომ თვით სოფელში კაპიტალიზმის განვითარებამაც კი მოითხოვა თავის გვერდით წვრილი წარმოების არსებობა. (იხ. კაუცკი. „აგრარული საკითხი“). გლეხობა თუმცა ისევ განიცდის კაპიტალიზმის დამრღვევ მოქმედებას, თუმცა არ შეადგენს თანამედროვე ცხოვრების საფუძველს, მაგრამ მაინც ელემენტი არის საზოგადოებისა, და ამასთანავე ელემენტი გაყელეფილი და უკმაყოფილო.

და აი აქ დაისვა საკითხი გლეხსა და პროლეტარის ურთიერთობის შესახებ, აქედან დაიწყო გლეხის ცხოვრებაში და მდგომარეობაში ძებნა სოციალისტურ ბუნებისა. ასე რომ გლეხის და პროლეტარის სოციოლოგიური ანალიზის საკითხი ევროპის სოც.-დემოკრატიაში უმთავრესათ პრაქტიკულმა მოთხოვნილებამ დასვა, მაგრამ ამ საკითხს თავიდანვე ვერ ნიეცა სწორი გეზი და ფარგალი. ისეთ ჩამორჩენილ ქვეყანაში კი როგორიც რუსეთია, განსაკუთრებულ პირობების წყალობით, ერთმანეთში გადაიხლართა ბურჟუაზიული რევოლიუცია და რევოლიუცია სოციალისტური; პროლეტარიატი საკმაოთ ძლიერი აღმოჩნდა უკვე ფეოდალურ წყობილების ნგრევის დროს და ამასთანავე გლეხობაც მრავალრიცხოვანი; და აი აქ პირდაპირ ცხოვრებამ მოათხოვა ამ საკითხის დღის წესრიგში დასმა, და ამ ცხოვრებამ და რუსეთის განსაკუთრებულმა მდგომარეობამ ააცდინა იგი სწორ ხაზს. ამას გარდა რუსეთში გლეხის სოციალისტათ დასახვას ერთგვარი ტრადიციაც აღმოაჩნდა თვით მე-60-ე წლებიდან მომდინარე, თემურ მიწათმფლობელობის არსებობაზე აღმოცენებული, და ამიტომ ყველაზე უფრო მწვავეთ ეს პრობლემა აქ დაისვა.

ამ მცირე ისტორიულ ანალიზის შემდეგ გადავდივართ საკითხის არსებით მხარეზე.

პირველ არგუმენტათ, როგორც ზევით დავინახეთ, გლეხის სოციალისტურ ბუნების დასამტკიცებლათ მოჰყავთ მისი სიღარიბე, ტანჯვა-წვალება და ექსპლოატაცია. მაგრამ მარქსიზმის აზრით სიღარიბე თავისთავათ აღებული ვერასოდეს ვერ წარმოშობს სოციალისტურ შეგნებას. ევროპის პროლეტარიატი შეიძლება უფრო კარგ პირობებში იმყოფებოდეს, ვიდრე გლეხობა, მაგრამ პირველი სოციალისტურია, მეორე კი არა. პროლეტარიატის უმთავრეს ნიშნობლივ თვისებას, იმ თვისებას, რომელიც მას ახალ ცხოვრების მებრძოლათ ჰქმნის, სიღარიბე კი არ წარმოადგენს, არამედ ის როლი, რომელსაც იგი წარმოებაში თამაშობს. თუ ჩვენ მორალურ თვალსაზრისზე დავდგებით მაშინ რასაკვირველია ადვილათ შეგვიძლია ღარიბი გლეხი და ბოგანო მუშა, პროლეტარი ერთს კათეგორიაში და კლასში მოვაქციოთ; მორალური თვალსაზრისით ისინი თანასწორნი არიან, რადგან სიღარიბე ტანჯვა-წვალება ორივეს ახასიათებს; ამასთანავე არც ერთი მათგანი არ სცხოვრობს სხვისი ექსპლოატაციით; და აი ამ მთლიან მშრომელ კლასს ჩვენ შეგვიძლია დაუპირდაპიროთ კლასი ექსპლოატატორთა და მჩაგვრელთა; მაგრამ სოციალურ და ეკონომიურ მოვლენათა გარკვევის დროს მორალურ, ზნეობრივ თვალსაზრისით სარგებლობა შორს ვერ წაგვიყვანს. მეცნიერული ცივი მსჯელობა ხშირათ მკაცრათ არღვევს ჩვენ ზნეობრივ ილიუზიებს. მეცნიერული თვალსაზრისით კი კლასი პიროვნებათა ჯგუფი არის, რომელიც ერთს და იმავე საწარმოვო დამოკიდებულებაშია სხვა, წარმოებაში ჩაბმულ ჯგუფებთან და რომელიც ერთს და იმავე როლს თამაშობს წარმოებაში. ამ თვალსაზრისით კი მუშა და გლეხი ერთს სოციალურ კათეგორიაში, ცხადია, ვერ მოექცევა; მათი საწარმოვო მდგომარეობა სულ სხვა და

სხვა არის. პროლეტარს საწარმოო იარაღი არ გააჩნია, ის სხვისთვის მუშაობს. ამასთანავე იგი კოლექტიურ წარმოების პროცესში არის ჩაბმული; მისი მდგომარეობიდან ლოღიკურათ და პირდაპირ გამომდინარეობს მისი სოციალისტობა, გლეხის მდგომარეობიდან კი არა.

ამნაირათ სიღარიბის თვისება მხოლოთ მორალურის თვალსაზრისით თუ გამოდგება და არა მეცნიერულის. სიღარიბე მუდამ არსებობდა, რომში რომ სიღარიბე იყო, იმის მონაგონიც არ არის დღევანდელი სიღარიბე, მაგრამ მაშინდელი ლუმპენ-პროლეტარიატი სოციალისტური სრულებით არ იყო. მისი იდეალი, როგორც სამართლიანათ აღნიშნავს კაუცკი, შეიძლება გაყოფის კომუნიზმი გამხდარიყო და არა კომუნიზმი შეერთებისა. საწარმოო იარაღთა უქონლობა და წარმოების საზოგადოებრივი ხასიათი—აი ის რეალური ბაზისი, რომელზედაც პროლეტარის სოციალისტური შეგნება შენდება. გლეხი კი წვრილი მესაკუთრეა, მას საწარმოო იარაღი აქვს და ამასთანავე ინდივიდუალურ, და არა კოლექტიურ შრომას, ეწევა. უმთავრესი ამ შემთხვევაში გლეხის სიღარიბე კი არ არის, არამედ მისი როლი წარმოებაში. მაშასადამე გლეხს და პროლეტარს სულ სხვა და სხვა ნაირი სოციოლოგიური ბუნება აქვს, რადგან სხვა და სხვა ნაირ სოციალურ მდგომარეობაში არიან.

მართალია სოციალიზმი მშრომელ გლეხსაც გაანთავისუფლებს ტანჯვა-წვალებასა და ექსპლოატაციისაგან, ამასთანავე იგი (სოციალიზმი) მისი მიწების ექსპროპრიაციასაც არ მოუტანს მას (იხ. კაუცკი. „აგრარული საკითხი“. აგრეთვე „ერფურტ. პროგრამა“), მაგრამ ეს არ კმარა მისთვის რომ გლეხობა სოციალისტურ ელემენტს წარმოადგენდეს. აი რას ამბობს ყოფილი სოც.-რევოლიუციონერი ნუკ. სუხანოვი ამის შესახებ: „სოციალისტური პარტია, რომ გლეხური იყვეს, შეეძლოს გლეხობას დაეყრდნოს და მას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს, ამისთვის საკმაო არ არის ზემოთ ნახსენები ორი უდავო ფაქტი—გლეხობის ექსპლოატაცია ბურჟუაზიულ წყობილებაში და სოციალიზმის საშუალებით მისი განთავისუფლება. ამისთვის საჭიროა, რომ გლეხთა მოძრაობა **თავისი ბუნებით** იყოს სოციალისტური; რომ გლეხობის ინტერესი განუყრელათ და ორგანიულათ იყოს შეკავშირებული სოციალიზმთან; რომ გლეხ-კაცობის ხსნა **მხოლოთ და მხოლოთ** სოციალიზმი იყოს; რომ მის განსათავისუფლებლათ ორი გზა არ არსებობდეს: ვინაიდან არ შეიძლება ისეთ კლასზე დაყრდნობა, რომელიც შუა გზაზე ჩამოგცილდება. შეუძლებელია პარტიამ გამოხატოს უმთავრესათ იმ კლასის ინტერესები, რომელიც ხვალ შეიძლება მას მიატოვებს, სხვა იდეალებით გატაცებული, რომელნიც შეიძლება არა ნაკლებ რეალურათ გამომდინარეობდენ მის მდგომარეობიდან. შეერთება შეიძლება და საჭიროა იმ კლასთან, რომელთანაც პარტია უეჭველათ ბოლომდე იცლის, რომელიც მომავალში **შექმნის** სასურველ წყობილებას, როგორც თავის განთავისუფლების **ერთად-ერთ** საშუალებას“. (Н. Сухановъ. „Наши направленія“. გვ. 51—2; როგორც ვიცით ამ წიგნით სუხანოვმა სოც.-დემოკრატიულ პარტიაში გადასვლის დროს თავისი აღსარება სთქვა).

გლეხის პირდაპირი ინტერესია თავისი კერძო ინდივიდუალური წარმოება დაიცვას; ხოლო თუ კი იგი კაპიტალის წინააღმდეგ ხშირათ ილაშქრებს, იმ კაპიტალის, რომელიც სხვა და სხვა არა პირდაპირი საშუალებით მასაც სჩაგრავს, არა იმისთვის, რომ მოსპოს კერძო საკუთრება საწარმოო იარაღებზე, არამედ იმ პირობების წინააღმდეგ, რომელნიც მას, როგორც კერძო წვრილ მწარმოებელს, ხელს უშლიან თავისი საკუთრებით და საწარმოო მდგომარეობით დაუბრკოლებლივ ისარგებლოს. ის ხსნას სხვა და სხვა კოოპერატიულ ამხანაგობებში და წვრილ სოციალურ რეფორმებში ეძიებს და სცდილობს თავისი ნიადაგის და მდგომარეობის გამაგრებით მსხვილ, ბურჟუაზიულ გლეხობის ლაშქარში გადავიდეს. ამის მაგალითები ბევრია; მაგ. ამერიკის წვრილ ფერმერ-გლეხების კავშირის პროგრამაში სწერია: „ჩვენ კაპიტალის მტერნი კი არა ვართ, არამედ მონოპოლიების ტირანიის წინააღმდეგ ვართ ამხედრებული“-ო.

მაგრამ სოც.-რევოლიუციონერებს კოოპერაციის და სოციალიზმის დაპირდაპირება შეუძლებლათ მიაჩნიათ. ასე რომ, მათის აზრით, ამ გზითაც გლეხობა სოციალიზმისკენ მიისწრაფის. ჩვენ არ უარვყოფთ კოოპერაციის მნიშვნელობას, მაგრამ იგი არამც თუ სოციალიზმს არ ამზადებს, არამედ კაპიტალისტურ მსხვილ წარმოებას კიდევ უფრო აძლიერებს. „კოოპერაცია, ამბობს სუხანოვი, მუშას საწარმოვო იარაღთა **მესაკუთრეთ სტოვებს**, ამაგრებს მის კერძო საკუთრებას და **მუშას თავისი ნაშრომის მესაკუთრეთ ჰხდის**. მართალია კოოპერაცია ინდივიდუალურ საკუთრებას კოლექტიურათ სცვლის, მაგრამ იგი მაინც კერძო საკუთრებათ რჩება. და ამ საკუთრებიდან, რასაკვირველია გლეხი, წინააღმდეგ პროლეტარისა, განსაკუთრებულ სარგებლობას მიიღებს. ამისათვის იგი მას დაიცავს, განავითარებს და გაამაგრებს და ამასთანავე არას გზით ნებით არც დასთმობს. კოოპერაცია (ან მათი კავშირი) კერძო—უფლებრივ კავშირათ რჩება. სოციალიზმში გადასასვლელათ საჭირო გახდება ამ კოოპერატიულ წარმოების მესაკუთრეების ექსპროპრიაცია“. (Н. Сухановъ. „Наши направленія“. 59 გვ. ხაზი ავტორისაა).

ამნაირათ გლეხს მისი მდგომარეობა არ უკარნახებს სოციალიზმს, როგორც პროლეტარს, ეს თუ გნებავთ იმ ფაქტიდანაც სჩანს, რომ გლეხის სოციალისტური ბუნება ფეოდალიზმის დროს არ გამოაშკარავდა, თუმცა ტანჯვაში, სიღარიბეში გლეხი მაშინაც იმყოფებოდა. სოციალიზმი ახალი მოვლენა არის, იგი ახალ კლასის—პროლეტარიატის მისია და დანიშნულებაა.

მაგრამ ჩვენ ამ საკითხის მეორე მხარეც გვაინტერესებს. გლეხობა, როგორც საწარმოო იარაღთა მესაკუთრე, წვრილ ბურჟუაზიული ელემენტია; წვრილ-ბურჟუაზიის მდგომარეობა კი საზოგადოთ რყევაშია, იგი

შუა გზაზე გაჩერებული კლასია, რომელიც თანდათან მცირდება; ნაწილი მისი პროლეტართა რაზმს უერთდება, ნაწილი კი ბურჟუაზიისას. ეს ის სათადარიგო რაზმია, თუ შეიძლება ასე ითქვას, რომლიდგანაც ივსება ამ ორ მოწინააღმდეგე კლასთა შემადგენლობა. „იგი, როგორც ტურატი ამბობს, არც ფრინველია და არც თევზი“. ამასთან ბევრია მასში ნახევრათ პროლეტარული ელემენტები, პარცელიარული გლეხობა, რომელიც მჭიდრო დამოკიდებულებაშია პროლეტარიატთან. ამისთვის გლეხობის ფსიხიკაც და შეგნებაც ერთგვარ რყევას გამოჰხატავს. რამდენადაც ის თავის წვრილ საკუთრებას იცავს ხშირათ კონსერვატორობს და ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალებასაც სცდილობს; მაგრამ რამდენათაც იგი ახლოა პროლეტართა რაზმთან ხშირათ მის იდეოლოგიას ითვისებს და ფსიხოლოგიურათ მუშის თვალსაზრისზე დგება. ამ მოვლენას, რასაკვირველია, თავისი ეკონომიური სარჩულიც აქვს; კაპიტალიზმის ბატონობა თანდათან გლეხსაც გაუვალ ბადეში ჰხვევს და ყოველმხრიდან ემუქრება; იგი მუდმივ რყევაში არის; ამისთვის მათში გასავალი აქვს ხშირათ სოციალისტურ აზრების პროპაგანდას მაგრამ როცა გლეხი სოციალისტი ჰხდება, იგი თავის სპეციფიურ ფსიხიკიდან პროლეტარის თვალსაზრისზე გადადის; რწმუნდება, რომ წვრილმა მიწათმფლობელობამ დრო მოსჭამა და მას ძველ მკვიდრს ნიადაგს ვეღარაფერი დაუბრუნებს. ამავე დროს ის გრძნობს ქარხნის მძლავრს ქმენას, მას ესმის მედგარი ხმა პროლეტარიატისა, ხან თვით იძულებულია ქალაქს მიაშუროს და აი ყველა ამას გლეხი კერძო შემთხვევაში მიჰყავს სოციალისტურ შეგნებამდის.

ამის შემდეგ ადვილათ მიეხვდებით მარქსის და ენგელსის მიერ „კომ. მანიფესტში“ გლეხების შესახებ ნათქვამ სიტყვების ძნიშვნელობას, რომელნიც ასე აფრთხობენ ბევრს. „საშუალო ნაწილები, როგორც მაგ. გლეხები—ამბობს მარქსი და ენგელსი,—ებრძვის ბურჟუაზიას თავისი საშუალო მდგომარეობის შესანარჩუნებლათ. მაშასადამე ისინი კონსერვატორებია; კიდევ მეტი ისინი რეაქციონერები არის; ისინი მიისწრაფიან ისტორიის ბორბალი უკან დაუბრუნონ. და თუ მათ რევოლიუციონური მნიშვნელობა აქვთ, ეს იმდენათ, რამდენათაც იმათ მოელის პროლეტართა ბანაკში გადასვლა; რამდენათაც ისინი იცავენ არა ახლანდელ, არამედ თავის მერმინდელ ინტერესებს; რამდენათაც ისინი **თავის შეხედულებას სტოვებენ და ითვისებენ შეხედულებას პროლეტარიატისას**“. (ხაზი ჩვენია).

ყველა ნათქვამიდან შემდეგი დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ. „ბუნებით კოლექტიურ კლასათ ერთათერთი პროლეტარიატი ჩაითვლება“.—თანამედროვე მეცნიერული სოციალიზმი—არის პროლეტარული სოციალიზმი და ამასთანავე ნამდვილი სოციალისტური პარტია პროლეტარული პარტია უნდა იყოს. მაგრამ ეს შეხედულება არ უარყოფს გლეხებში ინტენსიურ მუშაობის საჭიროებას, რადგან გლეხს, ზოგიერთ შემთხვევაში, შეუძლია შეითვისოს სოციალისტური აზრები.

ასეთია მარქსიზმის შეხედულება გლეხისა და პროლეტარის სოციოლოგიური ბუნების შესახებ.

—ა.—ი.

ჩვენი სალამი.

მარქსიზმის მოციქულებო,
ჭირიმე თქვენი სულისა,
თქვენა ხართ ჩვენი იმედი,
გამხარებელი გულისა.

მაშინა ჰხატავთ ჩვენს ზრახვებს,
როს ამეტყველებთ ენასა...
გულწრფელათ ვხარობთ მუშები,
ვეძლევით აღმაფრენასა.

გაგვიძეხთ წინა, გვასწავლეთ
მოძღვრების ანი-ბანია...
რომ სწორედ შევქმნათ ცხოვრება,
შევცვალოთ მთა და ბარია.

ახალგაზრდა მუშა **ვ. მაისურაძე**

თანამედროვე კაპიტალიზმის განვითარების ფორმები და სოციალიზმი.

III. სოციალ-დემოკრატია და იმპერიალიზმი.

იმპერიალიზმთან დამოკიდებულების დროს საერთაშორისო სოც.-დემოკრატიაში განხეთქილებამ იჩინა თავი. კერძოთ გერმანიის სოც.-დემოკრატია ამ კითხვამ გაჰყო სამ ნაწილათ; პირველი ჯგუფი, მემარჯვენე, (კუნოვის მეთაურობით), იმპერიალიზმს სთვლის აუცილებელ პროგრესიულ ძალათ და თითქმის მხარს უჭერს მას. ლენინი ამის შესახებ სწერს: „ეს იმ კარიკატურას წააგავს, რომელსაც 1894 წ. რუსის ნაროდნიკები ხატავდენ. თუ მარქსისტები კაპიტალიზმს რუსეთში აუცილებელ და პროგრესიულ მოვლენათ სთვლიან, უნდა გააღონ სამიკიტნო და ამით ხელი შეუწყონ კაპიტალიზმის განვითარებასო“. მეორე ჯგუფი (ცენტრედ-წოდებული „ცენტრი“, რომლის სათავეშიც სდგას კაუცკი) არ სთვლის აუცილებელს იმპერიალიზმის მიერ წარმოებულ პოლიტიკას (რასაკვირველია იქნება აუცილებელი, თუ სათანადო წინააღმდეგობა არ გაეწია), ამიტომ მოუწოდებს პარტიას, აქტიურ ბრძოლისაკენ მასთან. რაც შეეხება მესამე ჯგუფს (მემარცხენე, როზა ლიუქსემბურგის მეთაურობით) ის ამ იმპერიალიზმთან ბრძოლას სთვლის ოცნებათ და უნაყოფოთ, თუ ძირიანათ არ იქნა შეცვლილი თვით კაპიტალისტური წესი წარმოებისა; იმპერიალიზმს

პროლეტარიატი, მათი აზრით, მხოლოთ სოციალიზმს დაუპირდაპირებს. მაგრამ განგების ირონიით, ისინი, ვინც უნდა მოახდინოს „სოციალური რევოლიუცია“, ჯერ კიდევ სანგრებში სხედან თავისივე ძმების პირისპირ.

იმპერიალისტურ პოლიტიკის აუცილებლობის და მის შედეგის—საერთაშორისო ომის შესახებ კაუცკი ჯერ კიდევ 1911 წ. სწერდა: „ინგლისს და საფრანგეთს მძიმე ტვირთად აწვება შეიარაღების ხარჯები, ისინი დიდი სიამოვნებით შეამცირებდენ ამ ხარჯებს, მით უმეტეს, რომ ეს მათ ხალხში დიდ უკმაყოფილებას იწვევს; მაგრამ მათ ეშინიათ მარტონი არ დარჩენ; ამასთანავე „სამთა კავშირის“ ქვეყნები არ არიან თანახმა ამ გზას დაადგნენ“. კაუცკი იძლევა წინადადებას დემოკრატიის ყველა ძალების შეკავშირებისა იმპერიალიზმთან საბრძოლველათ, რაც ათასჯერ უკეთესი საშუალება იქნებოდა, ვიდრე „ჰაეგის კონფერენცია“ და სხვ. მისი აზრით ეს ომამდის უნდა განხორციელებულიყო, რადგან დაწყებულ ომის შეჩერება ყოვლათ შეუძლებელია; შეუძლებელია მოქმედება რადიკალურათ მაშინ, როცა გამეფებულია „სამხედრო წესები“—ცენზურა და შიში მტრის შემოსევისა. კაუცკი უტოპისტებათ სთვლის ყველა მათ, ვისაც ომის გათავება, და შეწყვეტა საერთაშორისო გაფიცვით ჰსურდა.

როცა კაუცკის ეუბნებოდენ მარცხნიდან, ბურჟუაზიულ წესწყობილების პირობებში იმპერიალისტურ პოლიტიკასთან ბრძოლა არა ნაკლები უტოპია არისო,—იგი ამაზე უპასუხებდა; თუ თქვენ მართალი ხართ, მაშინ არამც თუ იმპერიალისტურ პოლიტიკასთან ბრძოლა, რვა საათის სამუშაო დღის მოთხოვნა და სხვა დემოკრატიული რეფორმებიც ბურჟუაზიულ წესწყობილების ფარგლებში უტოპია და ფუჭი ოცნება ყოფილა. ჩვენ კი კაუცკის ამ სიტყვებს დაუმატებდით იმას, რომ თუ ასე მიუდგებით საკითხს, ფიქცია ყოფილა აგრეთვე რუსეთის დემოკრატიის მოთხოვნილება „ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო, ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე აგებული“.ამ ლოზუნგს როგორც ვიცით ლენინიც იზიარებს (ყოველ შემთხვევაში ჯარ.-კ. და მუშ. დეპ. საბჭოების პირველ ყრილობაზე, გარკვევით იცავდა ამ პრინციპებს). ამას დაუპირეს მხარი გერმანიის მემარცხენე ამხანაგებმაც. და აი თუ სუყველა ეს ოცნება და უტოპიაა, მაშ მართალი ყოფილა გენ. ალექსეევი, რომელმაც პირველათ მონათლა ამ სახელით რუსეთის რევოლიუციონური დემოკრატიის მოთხოვნილებანი.

ტროცკი კი ამ მოთხოვნილებებს თავის „ზავის პროგრამა“-ში უტოპიურს ეძახის. „ამ „სამართლიან“ ნაციონალურ გადამიჯვნის მეორე დღესვე, ამბობს ის, ისევ აღიძვრებიან კაპიტალისტური სურვილები, დაიწყება ბრძოლა, ომი და ხელახალი შელახვა ყოველ წმინდა პრინციპებისა. ეს იმას მომაგონებს, როცა გატაცებული მოთამაშენი **იძულებული არიან** „სამართლიანათ“ გაჰყონ თავიანთ შორის ოქრო, რათა შემდეგ გაორკეცებულ ძალით შეუდგენ იმავ თამაშობას“ (Троцкій: „Программа мира“—გვ. 17,18).

როცა ტროცკი ამბობს „იძულებულნი არიან“ ალბათ ის რაღაც მესამე ძალას ჰგულისხმობს, და ამ მესამე ძალათ კი ამ შემთხვევაში დემოკრატია არის; ყოველ შემთხვევაში დემოკრატიის ჩარევის შემდეგ „გაორკეცებულ ძალით“ ვეღარ შესძლებენ იმპერიალისტები ძველი თამაში განაგრძონ, თვით აზარტული მოთამაშენიც კი იძულებულნი არიან თამაშს თავი დაანებონ, როცა საქმეში ჩაერევა „მესამე“ ძალა—ადმინისტრაცია.

ამის მსგავსი რამ წარმოთქმულ იქნა უფრო ადრე ციმერვალდის კონფერენციაზე. როცა მარტოვმა წამოაყენა დღევანდელი რუსეთის დემოკრატიის ლოზუნგი საერთაშორისო ომთან საბრძოლველათ, ლენინმა მას „მემარცხენეთა“ სახელით „მეშჩანური“ უწოდა; მაშინ ლენინი ლოდიკის ფარგლებში რჩებოდა, ეხლა?..

მაგრამ დაუბრუნდეთ ჩვენს უმთავრეს საგანს. რასაკვირველია იმპერიალიზმთან ბრძოლის შესაძლებლობა, რომელსაც კაუცკი იცავს, სრულიადაც არ ნიშნავს ახალ-შენების როლის გაქარწყლებას, ეს იქნება მხოლოდ მათი ექსპლოატაციის ხასიათის შეცვლა. კაუცკის პარტია სცდილობს ჩამოაცილოს კაპიტალისტური სახელმწიფოები იმპერიალისტურ პოზიციებს და აიძულოს ისინი მშვიდობიანათ და თავისუფლათა გამოიყენონ ახალ-შენები. ხოლო ამ უკანასკნელთ მნიშვნელობა სამეურნეო ცხოვრებაში როგორიც იყო ისეთი დარჩება.

შემცდარია ამიტომ პ. მასლოვი, რომელიც ახალ-შენების მნიშვნელობას კაპიტალისტურ ქვეყნებისათვის მეორე ხარისხოვანათ სთვლის. პ. მა-

ლოვს თავისი აზრის დასამტკიცებლათ შემდეგი მაგალითები მოჰყავს („Экономич. причины войны"): „კოლონიალურმა პოლიტიკამ ამ უკანასკნელ წლებში, ამბობს ის, შეაფერხა დასავლეთ ევროპაში კაპიტალიზმის განვითარება. გერმანია, რომელსაც ახალ-შენები თითქმის არ გააჩნდა, უფრო ჩქარა განვითარდა ვიდრე სხვა, ახალ-შენებით მდიდარი ქვეყნები. მისი ვაჭრობა სხვის ახალშენებში რამდენჯერმე აღემატებოდა საკუთარ ახალ-შენებში ვაჭრობას, ახალ-შენების მმართველობის ხარჯებში კი გერმანია მონაწილე არ იყო. ყველა კოლონიალური ქვეყნები, ინგლისის გარდა, ჩამორჩნენ თავის ეკონომიურ გინვითარებაში".

აქ მხოლოდ ფაქტების და ცნებების არევ-დარევაა. ჯერ ერთი კოლონიალური ხარჯები იმდენათ დიდი არ არის, რომ მძიმე ტვირთად დააწვეს მეტროპოლიას; და თუ გერმანია და მასთან იაპონია, ბელგია, შეერთ. შტატები და სხვ. განვითარდენ ეს იმიტომ, რომ ინგლისის და საფრანგეთის კაპიტალისტები ვერ აკმაყოფილებდენ საერთაშორისო ბაზარს. გერმანიის განვითარებას სრულებით არ შეუფერხებია ინგლისის და საფრანგეთის ეკონომიური განვითარება.

სხვა საქმეა თუ კითხვას ასე დავსვამთ: რისთვის განვითარდა გერმანია უფრო ჩქარი ნაბიჯებით, ვიდრე საფრანგეთი. ესეც ადვილი გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საფრანგეთს არ ჰქონდა საკმარისი ქვანახშირი და რკინა—ეს წარმოების ატრიბუტები. ამ განვითარებას ხელი შეუწყო აგრეთვე ბრაზილიასთან და რუსეთთან ვაჭრობამ, რომელიც ფაქტიურათ გერმანიის ახალ-შენი იყო.

ამნაირათ მასლოვის შეხედულება მოკლებულია რეალურ საფუძველს.

უკვე რამდენიმე ათი წლის გავმავლობაში იმპერიალისტური პოლიტიკა და ახალ-შენების ექსპლოატაცია — უმთავრესი მხარეა კაპიტალიზმის ეკონომიურ ცხოვრებისა. რასაკვირველია ყველა ეს შემთხვევითი ვერ იქნებოდა.

ლენინი ერთ თავის მეტად ტენდეციურ შრომაში („Импер., какъ новѣйшій этапъ развитія Капитализма"); სწერს: „ჩემმერლენი ჰქადაგებდა იმპერიალიზმს, როგორც „ბრძნულს ჭეშმარიტ და სარფიან პოლიტიკას"; კონკურენციისაგან ხსნა მონოპოლიაშია (ახალ-შენების მონოპოლიაში—გ. ნ.) —ამბობდენ კაპიტალისტები და აარსებდენ კარტელებს, ტრესტებს, სინდიკატებს. ხსნა მონოპოლიაშია—ბანს აძლევდენ მათი პოლიტიკური წინამძღოლნი და მოუწოდებდენ ჯერ თავისუფალ ადგილების დასაპერათ". „სესილ როდსი კი, განაგრძობს ლენინი, როგორც გვიამბობს მისი მეგობარი ჟურნალისტი სტედი—1895 წ. თავის იმპერიალისტურ აზრების შესახებ შემდეგს ამბობდა: გუშინ მუშათა კვარტალში, ისტ-ენდში, შემთხვევით მოვხვდი უმუშევართა ყრილობაზე. ყველა აქ წარმოთქმულ სიტყვების აზრი ერთი იყო: პური, პური. ამის შემდეგ დავრწმუნდი, რომ იმპერიალიზმს დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩემი სანუკვარი აზრია სოციალური კითხვის გადაჭრა. თუ გვინდა ავიცილოთ სამოქალაქო ომი, უნდა შევიძინოთ ახალი ადგილები, რათა იქ გადავასახლოთ ნაწილი უმუშევართა და გავასაღოთ ჩვენ ქარხნებში დამზადებული საქონელი. მე მუდამ ვამბობდი, რომ იმპერია კუჭის კითხვა არის. თუ თქვენ სამოქალაქო ომი არ გინდათ, უნდა იმპერიალისტები გახდეთ".

ამას ამბობდენ ინგლისის იმპერიალისტები—ამას გაიმეორებს მისი სხვა ქვეყნის მოძმე. რომ არ შემცირდეს მოგება და მასთან სამოქალაქო ომიც რომ არ გამოიწვიონ—სესილ-როდსებს დარჩენიათ იმპერიალიზმის ქადაგება. როდესაც კაპიტალისტის მოგება მცირდება, ისინი ამცირებენ სამუშაო ხელფასს ან ადიდებენ ზედმეტ ღირებულებას სამუშაო დღის გაგრძელებით. ასეთია კაპიტალისტების ეკონომიურ ბრძოლის მეთოდი.

მაგრამ ახალ-შენები მეტი აღარ მოიძებნება, მათი რეალური ძალა თითქმის მთლათ ამოიწურა. და აი განყენებულათ რომ ავიღოთ მარტო იმპერიალისტურ პოლიტიკის და ახალ-შენების ექსპლოატაციის პროცესი, კაპიტალისტური წყობილება ვერ უძლებს თავისივე საწარმოო ძალების განვითარებას და კატასტროფისაკენ მიისწრაფის. ეს ფაქტი ააშკარავებს ამ წყობილების შინაგან წინააღმდეგობას, რომელიც მხოლოდ სოციალიზმმა უნდა შეარიგოს.

და სოციალიზმისათვის მებრძოლი პროლეტარიატიც ამ მისიისათვის არის მოწოდებული.

გიორგი ნინოშვილი.

კოოპერაცია და ქართველი ს.-ფედერალისტები.

V.

საწარმოო კოოპერატივთა ბედი.

ზემოთ ჩვენ აშკარათ დავინახეთ, რომ სოც.-დემოკრატიას არ შეუძლია იყოს მტერი კოოპერაციისა. ამ აზრის საილუსტრაციოთ ჩვენ შეგვეძლო მოგვეყვანა აუარებელი ფაქტები, მაგრამ ეხლა ამას არ გამოუდგებით. შევეხოთ საქმის პრინციპიალურ მხარეს. რა სარგებლობის მოტანა შეუძლია კოოპერაციას? შეაჩერებს თუ არა იგი კაპიტალიზმის მსვლელობას?—ვნახოთ! აქსიომაა ის, რომ მრეწველობაში სხვილი კაპიტალი ამარცხებს წვრილს. ისიც აქსიომაა, რომ კაპიტალისტებს გაცილებით მეტი კაპიტალი აქვთ, ვინემ კოოპერატივებს. აქედან დასკვნა: კერძო კაპიტალი წინდაწინვე გამარჯვებულია კოოპერაციასთან ომში. მაგრამ, გვეუბნებიან უტოპისტ-სოციალისტები, კოოპერატივები ხომ მრავლდებიან, იძენენ კაპიტალს, კავშირდებიან!—ისინი თუმცა ნელა, მაგრამ შეურყეველათ შეუდგენ კაპიტალისტური წარმოების განდევნას წარმოების მთელი რიგ სხვა და სხვა დარგებიდან. უტოპისტ-სოციალისტები გვიხატავენ თვალწარმტაც სურათებს, თუ როგორ გაუსწორებენ კოოპერატივები კაპიტალის დაგროვებაში კერძო კაპიტალისტებს და ბოლოს კიდეც დაამარცხებენ მათ.

მაგრამ აქ კეთილ სურვილებს უფრო მეტი ადგილი აქვთ დათმობილი, ვიდრე სინამდვილეს. აქ ფაქტები უტოპისტთაგან ჩვეულებრივათ გაბერილია! მართლაც და ამ სურათებს მხოლოდ მაშინ ექნებოდათ აზრი, თუ ჩვენ დაუშვებდით, რომ იზრდება და ძლიერდება—მხოლოდ ერთი მხარე—კოოპერატივები; მეორე მხარე კი—კაპიტალისტები—დგანან უძრავათ ერთ და იმავ ალაგს. მაშინ, რა თქმა უნდა, კოოპერატივები შემდეგში მათ სძლევენ. მაგრამ, მაგარიც ისაა, რომ კაპიტალისტები არ დგანან ერთ და იმავ ადგილზე; პირიქით, ისინი კოოპერატივებზე უფრო ენერგიულათ და მოხერხებულათაც მუშაობენ: აფართოებენ წარმოებას, უკავშირდებიან ერთმანეთს, ადგენენ აქციონერულ საზოგადოებებს და სხვ. ამრიგათ, კოოპერაციის ზრდა-განვითარება იწვევს თავის მოწინააღმდეგე ტენდენციას—კაპიტალისტთა გაძლიერებას: ამიტომ ბოლოს და ბოლოს ძალთა განწყობილება ისევ წინანდელი რჩება. შევეხოთ უფრო დეტალურათ ამ საკითხს! ერთ-ერთ წინა წერილში, როცა კოოპერაციის დღევანდელ ფორმებს შევეხეთ, ჩვენ ვნახეთ, რომ მექარხნეებთან ბრძოლის დროს კოოპერაცია ყალიბდება ე. წ. საწარმოო კოოპერატივთა ფორმაში.

საწარმოო კოოპერატივები იყოფიან რამოდენიმე კატეგორიათ. მაგალითათ:

1) ამხანაგობანი, ნომელნიც ერთათ ასრულებენ რაიმე სამუშაოს და ჰყიდიან თავის შრომას (სამუშაო ძალას), ე. წ. **შრომის არტელები.**

2) ამხანაგობანი, რომელნიც ერთათ სარგებლობენ საწარმოო საშუალებით.

3) ამხანაგობანი, რომელნიც აწარმოებენ საქონელთ; ა) თავისთვის მოსახმარებლათ და ბ) გასასყიდათ.

ქვემოთ ჩვენ, როცა ვილაპარაკებთ საწარმოო კოოპერატივთა შესახებ, სახეში გვექნება მხოლოდ ეს უკანასკნელი კათეგორია. ამ უკანასკნელს ჩვენ ვხვდებით როგორც ქალაქებში, ისე სოფლათ.

საწარმოო კოოპერატივთა ეს ტიპი გამოიხატება იმაში, რომ ესა თუ ის მუშათა, ხელოსანთა, ან გლეხთა ამხანაგობა აწყობს ქარხნულ წარმოებას, და ამზადებს საქონელს გასასყიდათ იმ მიზნით, რომ გაუწიოს კონკურენცია მექარხნეთ, დაამარცხოს ისინი და ჩამოართვას მათ ორგანიზატორის როლი წარმოებაში. ნიშანდობლივი თვისება საწარმოო კოოპერატივთა, როგორც ამ ტიპის, ისე საზოგადოთ, გამოიხატება იმაში რომ ისინი თავის წრეში სპობენ მუშის კაპიტალისტურ ყვლეფას. საწარმოო კოოპერატივი წარმოადგენს მუშათა თვითმმართველ ჯგუფს, რომელსაც არც ბატონი ჰყავს და არც არავის თავს აყვლეფინებს. ამიტომ ამხანაგობის წევრები თვითონ უნდა ასრულებდენ ყოველივე მუშაობას ქარხანაში; დაქირავებულ შრომას აქ ალაგი არ უნდა ჰკონდეს.

რა შედეგებს მოგვცემს ასეთი კოოპერატივები? საწარმოო კოოპერატივს მექარხნესთან ბრძოლაში მუდამ წინ ელობება შემდეგი დაბრკოლებანი:

1) **კაპიტალის უქონლობა, თანხის სიმცირე.**

ჩვენ ზემოთაც მოვიხსენიეთ, რომ საწარმოო კოოპერატივებს კაპიტალისტ მექარხნეებთან შედარებით, გაცილებით მცირე და თითქმის უმნიშვნე-

ლო თანხა აქვთ; ამიტომ ისინი ვერ უძლებენ კაპიტალისტების კონკურენციას და მარცხდებიან უთანასწორო ბრძოლაში. უტოპისტ სოციალისტებს აქ სხვათა შორის დიდი იმედი აქვთ საკრედიტო კოოპერატივებისა, რომელნიც მათის მოლოდინით ამ შემთხვევაში მიაწვდიან საწარმოო კოოპერატივებს საჭირო თანხას და იხსნიან მათ ამ გაჭირვებისაგან. რომ კოოპერატიულ კრედიტს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია საზოგადოთ,— ეს უცილოა, მაგრამ ამ გზით აღებული თანხის მეოხებით სხვილ კაპიტალისტთა დამარცხებაზე ფიქრი, მეტი რომ არა ვთქვათ, ილიუზიაა! დღეს საფინანსო კაპიტალას ხანაა. მოწიხავე ქვეყნების (წარმოების მხრივ) დიდძალი და თითქმის მთელი კაპიტალები მრავალ წყაროებიდან თავმოყრილია ბანკების ხელში და აქედან უდგია სათავეში მთელ წარმოებას. ვინ არ იცის თუ რა ძნელია თვით კაპიტალისტთათვისაც კი ამ ბანკებში კრედიტის მოპოვება. თუ მეჭარხნეს არა აქვს ფართო პირადი ნაცნობობა, დიდი პროტექციები, ძლიერ საეჭვოა, რომ იგი ეღირსოს კრედიტს, თავის თავათ ცხადია, რომ საწ. კოოპერატივებს ეს ბანკები კრედიტს არ გაუხსნიან. საკრედიტო კოოპერატივები კი, რომელთა თანხა სახსენებელიც არაა ზემოაღნიშნულ ბანკებთან შედარებით, ცხადია ვერას დროს ვერ მისცემენ საწარმოო კოოპერატივებს იმდენ თანხას, რომ უკანასკნელნი გაუმკლავდენ კერძო მეჭარხნეთა კონკურენციას.

უფრო სასაცილოა, რა თქმა უნდა, კერძო შემოწირულებათა იმედზე დამყარება. საწარმოო კოოპერატივებს ვერ უშველის ვერც მთავრობათა დახმარება, რასაც დღეს დიდი ალაგი უჭირავს მათ ცხოვრებაში.

საფინანსო კაპიტალის ტუზებს ვერვინ გაუბედავს ურჩობას!

„მსხვილ ფინანსისტებს, ამბობს კრუცკი, თავის წარმოშობის დღიდანვე სახელმწიფო ვალების მეოხებით ჰყავთ მთავრობები თავიანთ გავლენის ქვეშ. თანამედროვე საფინანსო კაროლები ხომ თავიანთ კარტელების და ტრესტების მეოხებით უმეშვეოთ ბრძანებლობენ მთელ ნაციაზე; მათ ექვემდებარება მთელი წარმოება“. *) და სხვ.

*) К. Каутскій, Сборникъ статей, გვ. 74, Петербургъ, 1906 г.

ცხადია, რომ ამ კაროლებთან ბრძოლის დროს საკრედიტო კოოპერაციას რქები არ შერჩება! აი აქაა საწარმოო კოოპერატივთა ტრაგედიის სათავე!

„უმთავესი მიზეზი (საწარმოო კოოპერატივთა სისუსტისა), ამბობს **ს. პროკოპოვიჩი**, არის მათი წევრთა ნივთიერი ხელმოკლეობა. მაგ. პავლოვის ამხანაგობას სჭირია მოძრავი კაპიტალი 470 მან. თვითეულ წევრზე, მოსკოვის გუბ. ამხანაგობებს 220 მან. წევრზე. საქონლის ნისიათ გაყიდვას ეს რიცხვები აჰყავს 300 მ.—600 მან. წევრზე.

იმის მოლოდინი, რომ ჩვენი ხელოსნები ან შინამრეწველები შეაგროვებენ ამ თანხას— ფუჭი ოცნებაა. ამიტომ საწარმოო კოოპერატივებს საქმის მოსაგვარებლათ მუდამ ესაჭიროებათ გარეშე დახმარება ფულით. ერობა და კერძო პირები თითქმის მუდამ შედიან მათ მდგომარეობაში და აძლევენ მათ ფულს საქმის დასაწყებ მოსაგვარებლათ, მაგრამ როგორ შეიძლება მთელი საქმე ვალით აწარმოო! აქედან, **რამდენათ უფრო ძვირია ნედლი მასალა და საწარმოო იარაღები, იმდენათ ძნელია საწარმოო კოოპერატივთა დაარსება“.***). უფრო შორს მიდის **ტუგან-ბარანოვსკი**, რომელიც ამტკიცებს, რომ „მრეწველობის **იმ დარგში**, სადაც ნედლ მასალას **ყიდულობენ**, ჩვენ თითქმის **ვერ ვხვდებით საწარმოო კოოპერატივებსო“.****) (კურსივი აქ ყველგან ჩემია. ს. მ.).

2) მეორე დიდ დაბრკოლებას კაპიტალიზმთან ბრძოლაში საწარმოო კოოპერატივებისათვის წარმოადგენს მათ წევრთა კომერციული მოუმზადებლობა-გამოუცდელობა, სავაჭრო-სამრეწველო ცოდნა-უნარის უქონლობა“. ყოვლად წარმოუდგენელია (საწარმოო კოოპერატივებში) საქმის წარმოება, ამბობს **ა. ნ. ევგუნოვი**, თუ მათ სათავეში არ უდგიათ ნიჭიერი და ავტორიტეტული ხელმძღვანელი, რომელიც უნდა იცნობდეს როგორც ნედლი მასალის შესაძენ, ისე დამზადებულ საქონლის გასასყიდ ბაზრებს; რომელსაც შეეძლოს მუშტარიც მიიზიდოს და არც შრომის ენერგია შეასუსტოს; არც არავინ გაანებივროს და ძლიერსაც არავის აწყენინოს; ამასთანავე იგი არ უნდა შეუშინდეს მნიშვნელოვან

*) С. Прокоповичъ, Кооперативное движ. въ Россіи. გვ. 108—9.

**) М. И. Туганъ-Барановскій. Къ лучшему будущему, გვ. 114, 1912 წ.

„რისკსაც“ კი, როცა საეჭვოთ ეჩვენება მომავალი გამარჯვება“ და სხვ. *).

ამავე აზრს უფრო დაბეჯითებით- სხვათა შორის გამოსთქვამს პროფ. **ისაევი** თავის წიგნში „არტელები რუსეთში“. **).

რა თქმა უნდა, ყველა ეს ჩვენ მუშებს, გლეხებს და ხელოსნებს არ შეგვიძლია მოვთხოვოთ; ეს თვისებანი ვაჭარ-მრეწველთა მონოპოლიას შეადგენენ.

3) საწარმოო კოოპერატივთა მესამე სუსტ მხარეს წარმოადგენენ მათ წევრთა **უდისციპლინობა**. ამ უკანასკნელის **მიზეზი** მდგომარეობს იმაში, რომ კოოპერატივის წევრებს არ შეუძლიათ მოაწესრიგონ საქმის სავაჭრო მხარე: ხარჯთ აღრიცხვა, ანგარიში, შინაგანი წესრიგი და სხვ. დაქირავება მათ, მით უმეტეს პირველიდანვე, არ შეუძლიათ. კიდეც რომ მოაგვარონ ეს საქმე, კანტროლი არ შეუძლიათ გაუკეთონ მოსამსახურეებს. ყველა აქედან წარმოსდგება ურთიერთ შორის იქვიანობა, უნდობლობა, ხშირათ კი ჩხუბი და აყალმაყალი, რაც ბოლოს იწვევს ამხანაგობის დაშლას. „... დიდ ამხანაგობებს, ამბობს **ა. გ. შტანგე**, უფრო ადვილათ შეეძლოთ გამკლავებოდენ ამ ბოროტებას, მაგრამ მათ დასაარსებლათ ხომ სულ ძნელია ნივთიერ საშუალებათა გამონახვა! დიდი სესხის აღება იმ ამხანაგობისათვის, რომელსაც ჯერ არც კი მოუკიდია ხელი წარმოებისათვის და არ გამოუჩენია თავისი თავი საქმეში, პირდაპირ შეუძლებელია“ და სხვ. ***).

აი ასეთია მოკლეთ ის უმთავრესი დაბრკოლებანი, რომელნიც წინ ეღობებიან საწარმოო კოოპერატივებს მექარხნეებთან ბრძოლაში. თანხის სიმცირე, კომერციული გამოუცდელობა-მოუმზადებლობა და წევრების უდისციპლინობა,—აი ის სამი ნიშანი, რომელიც წინდაწინვე გვამცნობს ბრძოლის საბედისწერო შედეგს საწარმოო კოოპერატივთათვის, მათ სასტიკათ დამარცხებას!

ს. მიხელიძე.

---

*) ციტატა ამოღებულია პროკოპოვიჩის აქვე აღნიშნულ წიგნიდან, გვ. 110.

**) Проф. Исаевъ. Артели въ Россіи, გვ. 292.

***) იხ. Трудъ съѣзда дѣятелей по кустарной промышленности въ Россіи, Спб., 1910 წ. ტომი II, გვ. 24—25. ციტატა ამოღებულია პროკოპოვიჩის ზემოაღნიშნულ წიგნიდან.

სალამი „ახალ კვალს“.

სალამი ძველი „კვალი“-ს მემკვიდრეს, რომელიც განახლებულ ქვეყნის ცხოვრებაში ავლებს ახალ კვალს და ახალგაზრდა მებრძოლების გულ-გონებაში სთესავს საკაცობრიო იდეალების საუკეთესო, მეცნიერულ თესლს!..

სალამი იმათაც, ვინც ეს სასიქადულო გუთანი გააწყო, ჯამბარა გაჭიმა და ჭაპანი გასწია ხოდაბუნებსავით უხვ და ნოყიერ ახალგაზრდა გულ-გონებათა სახნავ-სათესათ!..

სალამი გულწრფელი, გულ-მხურვალე სალამი!.. სალამი საკაცობრიო იდეალებით აღზნებულ და პროლეტარიატის სიყვარულით ანთებულ ნორჩ, ფაქიზ და წმინდა გულებს, რომლებიც ანგარებით აღსავსე კაპიტალისტურ ცხოვრებას ვერ დაუმახინჯებია, რომლებზედაც თავისი უკულმართობის და უსამართლობის ჭუჭყი და ტალახი ვერ დაუყრია, რადგანაც ახალგაზრდობის გულში გაღვივებულ ცეცხლის ალი ყველაფერს ამას სწვავს და ფერფლათ აქცევს...

სალამი ძველი თაობის ღირსეულ მემკვიდრეთ, რომლებმაც უკვე ღრმათ და მკვიდრათ ჩაყრილ საძირკველზე უნდა ამოაშენონ დიადი შენობა სოციალიზმი, ტანჯულ ქვეყნის და კაცობრიობის საკეთილდღეოთ!..

სალამი ღირსეულ შვილებს ღირსეულ მამებისა! თქვენ უნდა ჩამოართვათ მათ ბრძოლის ქარცეცხლში და წითელ ტალღებში ამოვლებული დიადი დროშა და მომავლის ღრმა რწმენა—იმედით ააფრიალოთ ცხოვრების ჩარხის წაღმა ასაბრუნებლათ.

სალამი პროლეტარიატის მონობის და ჩაგვრის ხუნდ ჯაჭვების საბოლოოთ დამმსხვრევ-დამლეწველთ!..

სალამი შრომისა და ბრძოლის მეხრეებს და გუთნის დედებს, ვინც კაპიტალიზმისაგან წარმოშობილ ბოროტება-ღვარძლს თავის გაალმასებულ სახნის-საკვეთს მძლავრათ დაუგდებს, ძირფესვიანათ საბოლოოთ ამოაგდებს, რაც ქვეყანაზე ბოროტებაა გამეფებული და მის ნაცვლათ სოციალიზმის საღ თესლს უხვათ მოაბნევს!..

ძველმა გუთანმა თუ თვითმპყრობელობა ამოაგდო, ახალმა ბურჟუაზიული ქვეყანა სოციალი-

სტურათ უნდა შესცვალოს.

და აი, ამიტომაც კვლავ სალამი მათ, ვინც კაპიტალიზმის ნანგრევებზე შრომის წმინდა სამეფოს ააგებს და ზედ გამარჯვებული მარჯვენით სოციალიზმის წითელ დროშას ააფრიალებს! .

ს. პართენაშვილი.

ამიერ კავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის პირველი კონფერენცია.

(მეოთხე სხდომა, 19 იანვარი).

გრძელდება კამათი ფანასიურ საკითხის გარშემო. ამხ. ს. ტაბიძე. იმის შემდეგ, რაც კონფერენციამ განსაზღვრული დადგენილება მიიღო ცენტრ. ორგანოს შინაარსის შესახებ, მოსალოდნელია, რომ ყველა ორგანიზაციები არ გაიღებენ თავიანთ წვლილს ამ ორგანოს სასარგებლოთ. *) ამხ. ს. მიხელიძე ერთგვარ მუქარას ხედავს ამხ. ტაბიძის განცხადებაში და წინადადებას იძლევა, ნუ მიექცევა ამას ნურავითარი ყურადღება. ქუთაისელი დელეგატი (ტაბიძე) კვლავ იმეორებს, რომ ქუთაისის ორგანიზაცია არ გაიღებს წვლილს... ეს განცხადება საერთო გაუგებრობას იწვევს კრებაზე... მეორე ქუთაისელი დელეგატი (ილ. ჯუღელი) არ იზიარებს ტაბიძის ასეთ განცხადებას. ამხ. ს. მიხელიძე ხედავს ს. ტაბიძის განცხადებაში უკანა აზრს და მოითხოვს ფარდა აეხადოს განცხადების შინაარსს. იგი სხვათა შორის ამბობს: უბარალო დემოკრატიზმი მოითხოვს, რომ უმცირესობა უმრავლესობას დაემორჩილოსო.

კამათის შეწყვეტის შემდეგ კრება იღებს შემდეგ წინადადებას: შესდგეს ერთდროული წინასწარი თანხა 3000 მან., რომელიც 1 თვის განმავლობაში უნდა გადაიხადონ ყველა ორგანიზაციებმა. **).

იბადება კითხვა: რა გზას უნდა დაადგეს ცენტრალური კომიტეტი, თუ ორგანიზაციის უკმაყოფილო ნაწილი განიზრახავს საკუთარი ორგანოები გამოსცეს. ამის შესახებ კოფერენცია იღებს ამხ. ს. მიხელიძის შემდეგ რეზოლიუციას: „კონფერენცია, იღებს რა მხედველობაში ჟურნალის შესახებ თავის დადგენილებას, დასძენს: უკეთუ ადგილობრივათ გამოიცემა ბეჭდვითი ორგანოები,—**ისინი უნდა ატარებდენ ჯგუფის სახელს**. ამხანაგებს, რომლებიც კონფერენციის შეხედულებას იზიარებენ, დაევალოს, ნურავითარ მონაწილეობას ნუ მიიღებენ ჯგუფურ გამოცემებში. ცენტრალური ორგანო არავითარ დახმარებას არ გაუწევს ასეთ გამოცემებს“.

ასეთ დადგენილების შემდეგ ქუთაისელი დელეგატები აცხადებენ, რომ ისინი გადაჭრით ვერ იტყვიან, გაიღებს თუ არა ქუთაისის ორგანიზაცია ცენტრ. ორგანოს სასარგებლოთ ხედრ წვლილს. ამ განცხადებას უერთდებიან ბათუმელი დელეგატებიც.

შემდეგ მცირე შესწორებით კონფერენცია ამტკიცებს განსაკუთრებულ კომისიის მიერ შემუშავებულ წესდების პროექტს და სამაცადინო გეგმის ზოგად პრინციპებს. პროექტები საბოლოო სარედაქციოთ და შესავსებათ ცენტრალურ კომიტეტს გადაეცა. წესდება და პროგრამა ახლო მომავალში უნდა დაიბეჭდოს სამ ენაზე (ქართ., რუს., და სომხ.) და გაეგზავნოს ორგანიზაციებს.

კრება გადადის მომდინარე კითხვებზე.

ისმება საკითხები: 1) პოლიტიკური ეკონომია სასწავლებლებში, 2) ორგანიზაციის გაფართოება და 3) ახალგაზრდა მუშები და ჩვენი ორგანიზაცია.

ამ საკითხების გარჩევა უდროობის გამო შემდეგ სხდომისთვის გადაიდო.

(ხალამოს სხდომა).

კრების გახსნისას ამხ. ბერაძე მიზეზის აღუნიშნავათ ხსნის დღის წესრიგიდან მის მიერ შემოტანილ საკითხს ახალგაზრდა მუშების შესახებ. ირჩევა სხვა საკითხები. მცირე კამათის შემდეგ კონფერენციას გამოაქვს შემდეგი დადგენილებები.

პოლიტიკურ ეკონომიის სწავლების შესახებ— დაევალოს ცენტრ. კომიტეტს შესაფერი მოხსენების შედგენა და გაგზავნა, სადაც ჯერ არს; ამხანაგებს ევალებათ შესაფერ აგიტაციის გაწევა, რათა ადგილობრივათ მოწაფეებმა მოითხოვონ საშუალო სასწავლებლებში პოლიტიკურ ეკონომიის სწავლების შემოღება და ამით ხელი შეუწყონ დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

ორგანიზაციის გაფართოების შესახებ.—ორგანიზაცია ფაქტიურათ ქართველებიდან შესდგება,—ამიტომ დაევალოს ცენტრ. კომიტეტს მიიღოს ყოველივე ზომები არა ქართველების ორგანიზაციაში მისაღებათ; კონფერენცია ავალებს ამხანაგებს მიიღონ ენერგიული მონაწილეობა კერძო მოწაფეთა ორგანიზაციების მუშაობაში და ეცადონ იქ ჩვენი იდეების გავრცელებას.

მომდინარე კითხვების განხილვის შემდეგ კრება გადადის რეზოლიუციების კენჭის ყრაზე. მიღებულ იქნა ამხ. ხუნდაძის რეზოლიუცია მომდინარე მომენტის შესახებ ამხ. ვ. ნიკურაძის შესწორებით (რეზოლიუციას ხმა მისცა 22 კაცმა, წინააღმდეგ ერთმა, ხუთმა თავი შეიკავა). მობილიზაციის შესახებ წარმოდგენილ იქნა ორი რეზოლიუცია: ერთი ამხ. მომხსენებელის (ვ. ნიკურაძე) და მეორე ამხ. ყიასაშვილის: „მოისმინა რა მოხსენება მობილიზაციის შესახებ და მიიღო რა მხედველობაში, რომ

---

*) ეს დადგენილება უკვე დაიბეჭდა ჩვენს ჟურნალში (იხ. „ახ. კვ.“ № 3). მ. ჩ.

**) თფილისის ორგანიზაცია იხდის 1000 მან., ქუთაისის—600, ლანჩხუთის—50, ოზურგეთის—100, ხაშურის—200, ხიდისთავის—100, ჩოხატაურის—100, ჭიათურის—100, ლიხაურის—50, სამტრედიის—100, მ., ფოთის—200, სუფსის—100, მ.; აქ არ არის აღნიშნული ზოგიერთი ორგანიზაციები, საიდანაც დელეგატები არ ამოცხადებულან.

მობილიზაცია არ წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას და ეწინააღმდეგება სოც.-დემოკრატიის ძირითად პრინციპებს,—კონფერენცია აღიარებს ამ ზომის მიზანშეუწონლობას და მოითხოვს სახალხო მილიციის მოწყობას". მიღებულ იქნა ამხ. ვ. ნიკურაძის რეზოლიუცია (ხმა მისცა 20 კაცმა, წინააღმდეგ ხუთმა და ხუთმაც თავი შეიკავა. *).

ბოლოს ხდება ცენტრალურ კომიტეტის და საკანტროლო კომისიის არჩევნები. ცენტრ. კომიტეტში არჩეულ იქნენ: (9 კაცი) დ. ორაგველიძე. (ყვირილა) ი. ჯუღელი (ქუთაისი), გ. მგელაძე (ხაშური), მ. გოგიბერიძე (ხონი), ბ. რამიშვილი, ს. მიხელიძე, ვ. ნიკურაძე, მ. ხუნდაძე და მ. ჩაჩუა (თფილისი); მათ კანდიდატებათ: (3) ა. ჭყონია (ბათუმი), ე. კალანდარიშვილი და დ. ლომთაძე (თფილისი). საკონტროლო კომისიაში: (5) ვ. მაშკევიჩი, გაბილაია, დ. თევზაძე, მ. წივწივაძე და ა. დუდუჩავა.

სანამ კონფერენცია დაიხურებოდა, თავმჯდომარემ მიმართა მას მოკლე სიტყვით, რომელშიაც მოუწოდა ამხანაგებს პირნათლათ გაატარონ ცხოვრებაში კონფერენციის დადგენილებები. ვუსურვებთ ორგანიზაციას,ამბობს ის, ენერგიულ და ნაყოფიერ მუშაობას თავის წევრთა და მთელ მუშათა კლასის საკეთილდღეოთ. გვრწამს, რომ იდეია, რომლის გულისთვისაც ჩვენ აქ შეეიკრიბეთ, არას დროს არ მოკვდება და ეს კი საუკეთესო გარანტია იქნება დასახულ მიზნების განსახორციელებლათ.

მ. ჩ.

ახალგაზრდა მარქსისტთა შორის.

ქ. ლანჩხუთი.

23 იანვარს 1918 წ. შესდგა ადგილობრივ ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება. განსახილველი იყო შემდეგი საკითხები:

1) კონფერენციის დელეგატის მოხსენება.
2) ბიუროს მოხსენება.
3) პასუხისმგებელ კორესპონდენტის არჩევა.
4) განცხადებები.

ამიერ კავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა კონფერენციის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. კ. ორაგველიძე. მან ვრცლათ ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რომელ კითხვებზედ რაგვარი რეზოლიუციები გამოიტანეს ან რატომ. გააცნო კრებას მოკლეთ წესდების და სახელმძღვანელო პროგრამის შინაარსი, ვრცლათ შეეხო ჟურნალის და პროვინციალურ ორგანოების საკითხს; შემდეგ გააცნო კრებას ცენტრალური კომიტეტის და საკანტროლო კომისის შემადგენლობა. კრება სიხარულით ეგებება განცხადებას, რომ კონფერენცია აკავშირებს 2500-მდე ახალგაზრდას. მომხსენებელმა შეადარა ეს კონფერენცია ყოფილ მოწაფეთა კონფერენციებს და აღნიშნა პირველის დიადი მნიშვნელობა ახალგაზრდობის შეკავშირების საქმეში. კრება უცვლელათ ღებულობს რეზოლიუციებს მიმდინარე მომენტზე, ახალგაზრდობასა და მობილიზაციაზე და სხვ. კამათს იწვევს მხოლოთ შინაარსი ჩვენი ცენტრალური ორგანოსი. ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ რაკი ორგანიზაცია გაერთიანებულია, ჟურნალში სხვა ფრაქციის ახალგაზრდებსაც უნდა მიეცეს წერილების წერის უფლებაო.

ეს პირდაპირ ლოიკურად გამომდინარეობს იმ რეზოლიუციიდან, რომელიც კონფერენციას ორგანიზაციის შესახებ მიუღიაო. ამხ. კ. ორაგველიძე უპასუხებს, რომ ამ აზრს იზიარებდა ის კონფერენციაზე, მარა უმრავლესობამ ხსენებული რეზოლიუცია მიიღო და მოგიწოდებთ თქვენც დაემორჩილოთ უმრავლესობის გადაწყვეტილებასო. კრება მოხსენებას ტაშის ცემით ეგებება. ბიუროს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ც. ხუნდაძემ. შემდეგ მოხდა დამატებითი არჩევნები პასუხისმგებელ კორესპონდენტებისა. აირჩიეს ამხ. ბ. გიორგაძე და ევ. ჭყონია. კორესპონდენტები აგზავნიან: წერილებს ამხ. კ. ორაგველიძე—„ახალ კვალში", ბ. გიორგაძე—„სოციალდემოკრატში" და „ერთობაში", ევ. ჭყონია—„ბორბაში".

რამოდენიმე განცხადებების შემდეგ, რომელიც ჟურნალის და მეცადინეობის საქმეს ეხებოდა კრება დაიხურ-

კ. ონიძე.

*) კონფერენციაზე მიღებული რეზოლიუციები უკვე დაიბეჭდა ჩვენს ჟურნალში (იხ. „ახ. კვ." № 3). მ. ჩ.

შემოწირულება.

„ახალი კვალი"-ს ფონდის გასაძლიერებლათ შემოსწირეს: 1) ყვირილის ახალგ. მარქ. ორგანიზაციამ პირველათ 30 მან., შემდეგ 100 მ. 2) ლანჩხუთის ორგანიზაციამ—101 მ. 3) ხონის ორგანიზაციამ—30 მ. 4) საბურთალოს სცენის მოყვარეთა წრემ „ამხანაგობამ"—35 მ. 5) ქ. რამიშვილმა ნაცნობებში შეგროვილი—124 მ. 6) ეპ. რამიშვილმა ნაცნობებში შეგროვილი—200 მ. 7) ვ. ახვლედიანმა—40 მ. 8) მიხ. დაფქვიაშვილმა—40 მ. 9) ალ. ესაკიამ—40 მ. 10) ჩირახაძემ—20 მ. 11) პეტრო ტარასოვმა—10 მ. 12) 12. ე. ი.—5 მ. 50 კ. 13) ივ. ქაიხოსროშვილმა—5 მ. 14) ვ. რცხილაძემ (დურნოვომ)—10 მ.

რედაქტორ-გამომცემელი:
სარედაქციო კოლეგია.

სტამბა **ბართლომე ყილაძისა**, ველიამინოვის ქუჩა, № 3.

5 984 53
1918